დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2021 წლის 24 მარტის N 25 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს საამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ–კოლეჯი „ერქვანი“–ს (შემდგომში –კოლეჯი). სამშენებლო პროგრამის C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურას.

მუხლი 2 . განხორციელების მექანიზმები

1. სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპოტრო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დავიცვათ ქარხანა, დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების მოთხოვნები

2. გამოყენების წინ ინსტრუმენტი უნდა იქნეს დათვალიერებული მოდულის განმახორციელებლის მიერ. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში იარაღი არ უნდა იქნას გამოყენებელი.
3. ელექტრო ინსტრუმენტის გამოყენებისას, რომლებიც წარმოქმნიან აბრაზიულ ნაწილაკებს, გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.).
4. პროფესიულმა სტუდენტმა :
    - ❖ ინსტრუმენტის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, არ გამოიყენოს ის და დაზიანების შესახებ აცნობოს მოდულის განმახორციელებელს.
    - ❖ სიმაღლეზე მუშაობის დროს უნდა გამოიყენოს დამცავი ქამარი
    - ❖ მცირე ტრამვის შემთხვევაში, აცნობოს მოდულის განმახორციელებელ პირს და ისარგებლოს C გარემოში არსებული სამედიცინო აფთიაქით
    - ❖ ქიმიურ, ფხვიერ მასალებთან მუშაობისას წარმოქმნილი მტვრის და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით გამოიყენოს დამცავი საშუალებები (სათვალე, ნიღაბი, ხელთათმანები და ჩაფხუტი)

8. ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.

9.აკრძალულია სამშენებლო ინსტრუმენტების გამოყენება არადანიშნულების მიხედვით.

10.პოლიმერული მასალებისა და ნაკეთობების გამოყენებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მათი პასპორტით, ტარაზე არსებული ნიშნებითა და წარწერებით.

11. მანქანების, ინსტრუმენტის, ინვენტარის, ტექნიკური აღჭურვილობის, მოწყობილობის, კოლექტიური და ინდივიდუალური საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება:

მანქანების და დამცავი საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე ორგანიზაციას, რომლის ბალანსზეც ისინი ირიცხებიან;

სასწავლო გარემოში, სასწავლო პროცესის დროს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი. უწესივრობის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დირექციას წერილობით.

12. C გარემოში განთავსებულია ცეცხლმაქრი.

13.პროფესიული მასწავლებელი C გარემოში , გაკვეთილის დასაწყისში, პროფესიულ სტუდენტებს უტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს თემატიკის მიხედვით და გაცნობის შესახებ ,ხელმოწერით ადასტურებინებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჟურნალში.

15. C გარემოში გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები

16. უსაფრთხოების ტექნიკა და შრომის დაცვის წესები მუდმივად განიცდის დამუშავებას, ინერგება სამშენებლო საქმიანობაში და მუდმივად იცვლება როგორც ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე უსაფრთხოების ტექნიკის ახალი წესების და შრომის ჰიგიენის დარგში მიღწევების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მუხლი 3. გარდამავალი დებულებანი

კოლეჯს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამო საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება